№ 85
შაბათი, 3 მაისი 1897 წ.

1877 – 1897

ივერია

№ 85
შაბათი, 3 მაისი 1897 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთის ფასი:

	ბან.	კ.	
12	10	—	
11	9	50	
10	8	75	
9	8	—	
8	7	25	
7	6	50	

	ბან.	კ.	
6	6	—	
5	5	50	
4	4	75	
3	3	50	
2	2	75	
1	1	50	

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის სათავად-აზნაურო-საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **მოკრძალებულ საზოგადო კრება** ბანკის წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთა იქნება **ამავ წლის 20 მაისს დილის 10 საათზე**, ქართველ თავად-აზნაურთა ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ტფილისში.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება მთავრობის მიერ შემხდარ რევიზიის ანგარიშის გამო.

2) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1896 წლის ანგარიშისა.

3) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული ის ფული, რომელიც საანგარიშო წლის მოგებითგან უნდა გადადიოს საზოგადო საჭიროებისათვის დანაშნულს თანხაში.

5) მოხსენება იმის შესახებ, რომ ესსი იქმნას გაცემული გირავნობის ფურცლების ვენახების გირაოზედ.

6) მოხსენება ბანკის წევრთა საზოგადო კრების წესის შეცვლის შესახებ.

7) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წინადადებულ მამულების დაფასების წესდების შესახებ.

8) წინადადება ბანკის 49 და ცალკე 60 წევრისა, კრედიტი გაიაფებულ იქმნას იმითი, რომ შემცირდეს სარგებელი, რომელიც ერთმევათ მოგირავნეთ ბანკის მართვა-გამგეობისა და სხვა ხარჯისათვის, რაოდენობა საავადო გარდასახადის დროზედ შეუტანლობის ჯარიმისა და განცხადებათა დაბეჭდვის ხარჯისა, და

9) არჩევანი თანამდებობის მქონეთა, ნაცვლად ზედამხედველ კომიტეტის წევრთა უგანათლებულესის თავადის პ. ა. გრუზინსკისა, თავ. რ. დ. ერისთავისა, თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისა, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, თავ. ლ. გ. ჯანდიერისა, თავ. დ. ა. გურამიშვილისა, თავ. ვ. მ. თუმანოვისა, ა. ი. კობიაშვილისა, ა. ი. ყიფიანისა და გ. დ. ჟურულის; ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა; დამფასებელ კომისიის წევრის კ. ლ. ფურცელაძისა და გამგეობის წევრთა ორის კანდიდატისა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისა და თავ. ა. რ. ვახვახიშვილისა, რომელნიც რიგით ანებებენ სამსახურს თავს.

ამასთან ერთად ზედამხედველი კომიტეტი აცნობებს ბ-ნთ ბანკის წევრთ, რომ იმათგან რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობისა 1897 წლის 10 მაისს შემდეგ აღარ მიიღება. ამ რწმუნების ქაღალდების მიღება მოისპობა 10 დღით ადრე საზოგადო კრების დაწყებამდე.

(3—ნ.—3)

ტფილისი, 2 მაისი.

ისტორია არუთინოვის „ტრიხინებისა“ არა ნაკლებ საოცარია შაუმოვის „სელდების“ ისტორიაზე. აქაც ყოვლად ბრწყინვალე გამგეობამ „კულტურონსებისამ“ ინება და თავლი მაშინ გაახილა, როცა სხვამ და არა სასანიტარო-სამკურნალომ ღვთით ცხონებულ ტფილისისამ, ამოაფრთხო ეს საქმე თავისს განსასვენებელ საბუდარიდამ. ამ საქმის მელა-ძუობას გამგეობამ ჯერ პირველში კუდში ხელის წავლება კარგა ღონიერად მოასწრო. ბოლოს-კი რაღაც განგებით და სასწაულით ეს მელა-ძუობა ხელიდამ გაუსხლტა და თუმცა იქავ სორო-ში შეუძვრა, მაგრამ ნაწყვეტი კუდისა-კი ხელთ შერჩათ ღვთისა და თქვენს წყალობითა.

ისტორია არუთინოვის „ტრიხინებისა“ გძელია და ვრცელი. ჩვენ ვეცდებით მოკლედ ვთქვთ, ხოლო იმოდენად სავსებით-კი, რომ ყველამ აშკარად დავინახოთ,—ხელში შერჩენილი ნაწყვეტი კუდისა რამ სიგძეა და დღესაც როგორ იქნევს ბოლოსა „საკულტურად“.

დავიწყოთ ისტორია იქიდამ, რომ საეტერინარო ზედამხედველობა საყასბოსი და ერთობ სასანიტარო-სამკურნალო დადგენილ იქმნა 1892 წლის დეკემბერში. ყოველივე ეს იმიტომ დანახულ იყო აუცილებელ საჭიროებად, რომ ამ სასანიტარო-სამკურნალომ და მასთან ერთად საეტერინარო ზედამხედველობამ უშიშარ ჰყოს ტფილისელნი სხვათა შორის ავადმყოფ საკლავის ხორცისა და წამხდარ ხორაგისაგან და იმისთანა ლორის ხორცისა და ლორისაგან, რომელთაც „ტრიხინი“ აქვთ. „ტრიხინიანი“ ხორცი, ხომ მოგეხსენებათ, იმისთანა საშიშარია ადამიანისათვის, რომ ათში თურმე ორი ძლივა ჰრჩება სიკვდილისაგან, ისიც თუ დროზე უშველა თავს. 1893 წელსა „ტრიხინიან“ ლორების ხორცის, თუ ლორის აღმოსაჩენად დანახულ იქმნა საყასბოსთან გაემართათ სამიკროსკოპო სადგური, რომ მიკროსკოპის შემწეობით ესინჯათ ხორცი, რადგანაც „ტრიხინი“ იმისთანა პაწაია, რომ თვალით ვერ დაინახება.

დაარსდა ეს სამიკროსკოპო სადგურიცა. მთელი ეს მოწყობილება სასანიტარო-სამკურნალო და საეტერინარო მთელის თავისის მოსამსახურებით კარგა მოზდილს ხარჯს მოითხოვდა, რასაკვირველია. 1893 წ. ამის სახარჯოდ გამგეობის მიერ გადებულ და დახარჯულ იქმნა 13364 მანეთი, 1894 წ.—16018, 1895 წ.—18658, 1896 წ.—21760. აქედამ აშკარადა სჩანს, რომ ხარჯი ყოველ წლივ ჰმატულობს ასე, რომ პირველნდელ 13364 მანეთიდამ ავიდა 21760 მანეთამდე. აშკარაა ამ ხარჯის მატებას უნდა მოჰყოლოდა მატება უშიშარ-ყოფისა, რომ აი თანდათან შიში ხალხის ჯან-მრთელობის წახდენისა და,—იქნება,—შიში ხალხის ხოცვისაც წამხდარ ხორაგისაგან განელდება, კლებაში შევა, თუ სულ არ მოისპობა.

ჩვენი საგანი რადგანაც დღეს მარტო ტრიხინების საქმეა, ჩვენ ვეცდებით უტყუარის საბუთებით დავასურათოთ ხსენებულ ხარჯის მატებამ რა ხერი დაიყარა ტფილისის მცხოვრებელთა და რამოდენად სძლია ტრიხინებსა. რომ ეს ნამდვილად შევიტყოთ, საჭიროა გამოირკვეს იმ დღემდე, როცა ეს სასანიტარო-საეტერინარო ზედა-მხედობა დაწესდა, რამდენად დიდი იყო ტფილისში შიში ტრიხინისა და ამ შიშმა რამდენად იმატა თუ იკლო მას შემდეგ.

ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთი მარტო შესახებ 1890 წლისა და სხვა წინა წლებისა, სამწუხაროდ ჩვენდა, არ ვიცით. ამ წლიდამ-კი 1892 წლის დეკემბრამდე, როცა ხსენებული ზედამხედველობა დაწესდა და დაარსდა, ამბობენ ქიმიაში სიმყავე უერთდება თავისს საფუძველს. ნუ თუ სიტყვა უერთდება ჰნიშნავს, რომ რაღაცა წინ მოფიქრებულ აზრით უერთდება და იმასაც გონება აქვს? ყველა ის კანონი, რომელიც ჩვენ ზევით გვქონდა მოხსენებული, ჰმოქმედობს ბუნებითი შერჩევის დროსაც და სცვლის ორგანიზმს მისდა სასარგებლოდ.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ პროცესის დროს „შეუღლებითს შერჩევას“ (половой подборъ). მამლებს ყოველთვის ჩხუბი მოსდით დედლების მოპოვებისთვის; ვის არ უნახავს მოჩხუბარი მამალი ქათმები და ვინც გაიმარჯვებს მათ შორის, მას რჩება დედალი ქათამი. რასაკვირველია მისი ჩამომავლობაც, როგორც ძლიერისა, უფრო კარგი და ღონიერი იქნება, ასე, რომ აქ თავის თავად ხდება შერჩევა. გვიანაში მამალი ჩხარტები და ფარშევანგები გროვდებიან დედლების წინაშე, ჰშლიან თავის მშვენიერს ფრთებს, ამ დროს დედალი ირჩევს ამ მოკაზმათვებიდგან იმას, რომელიც მოეწონება გარეგნულის შეხედულობით. ზოგი ფრინველები მღერით სცდილობენ მოხიბლონ თავისი მიჯნურნი, ამისთვის მათი ხმა მუსიკალური ხდება საზოგადოდ და შემთხვევით ჩვენს აურადღებისათვისაც. ამითვე აიხსნება მწერებისა და პეპელების სხვა და-სხვა მოკაზმულობა, სხვა-და-სხვა მხიარული ფერი და მშვენიერი ორგანოების ფორმები. რად ხდება ისე, რომ ის ხმა, ის ფერი, ის ფორმა, რომელიც მოსწონს ადამიანს, ამ ხმებენ ფერებს, ამ ფორმებს ეუძლურებს, აუარგისებს და სტოვებს იმათ, ვინც თავისდა სასარგებლოდ შეიცვალნენ, ვინც დარჩა გამარჯვებული ბრძოლაში, ვინც შეეწყო ყოველ გვარ გარემოებას, ერთის სიტყვით, ვინც ძლიერია და კარგი იმ დროისათვის. მაშასადამე, ამითი აარსებს ბუნებაში იმ ჰარმონიას, რომელზედაც ამბობს კანტი თვის პოზიტივურ ფილოსოფიაში. ბუნება უფრო სცდილობს თვით ორგანიზმის სასარგებლოდ, ვიდრე ადამიანი; ბუნება უფრო დიდ და ფართო მოედანს უფენს ყოველს არსებას მის ორგანოების სავარჯიშოდ, ბუნება ნელ-ნელა ასი ათასის წლობით აგროვებს ყოველ მცირედ სასარგებლო ცვლილებას, სპობს იმ ორგანიზმებს, რომლებშიაც ვერ მოიკიდა ფეხი ამ მრავალმა ცვლილებამ, და ამ გვარად ერთ გვარ ორგანიზმებიდგან წარმოიშობს მეორე გვარსა, რომელიც გარეგან შეხედულებით სრულებით არ ემსგავსება მის წინაპარს. ამ გვარ პროცესს, ამ გვარ ბუნების მოქმედებას დარვინმა უწოდა სახელი „ბუნებითი შერჩევა.“ შემდეგ, როდესაც დარვინის მოწინააღმდეგებმა სიტყვა შერჩევა უკარგისად სცნეს, რადგან ვითომ წინ მოფიქრებულ მოქმედებას ჰნიშნავს, მან სპენსერის წინადადებით იხმარა მეორე ტერმინი, ხანგრძლივი სიცოცხლე იმისი, ვინც უფრო კარგად შეეწყო გარემოებას, თუმცა ეგ უკანასკნელი სიტყვა, იმავეს ნიშნავს, რაც წინანდელი, რადგან პირ-და-პირ ჰაზრით არც ერთი სიტყვა არ ითქმება. მაგალითად, ამ სიტყვა ამ ამ ... ...

იწყო თვისი მოქმედება ტფილისში, არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა ღორის ხორცსა, ან ღორში ტრიხინი აღმოჩენილიყო. მაგალითებრ, 1890 წელს 100 ღორი გაუჩხრეკიათ და იმათში სულ არ აღმოჩენილა ტრიხინი [1]). მაინც სიფრთხილეს თავი არ ასტკივეო და კიდევ 1891 და 1892 წლებშიაც უსინჯავთ და უჩხრეკიათ და, სასანიტარო მკურნალის ბ ნ ვართანიანცის სიტყვით, ჩვენებურ ღორის ღორებში უბოვიათ არამც თუ ფინი [2]) (ქართულად „გვარი“ ჰქვიან), არამედ ტრიხინიცა. თუმცა ბ-ნ ვართანიანცს ასე დაურწმუნებია ტფილისის „კულტურა-სანთა“ საბჭო, მაგრამ 1891—1892 წლებში ტრიხინის ხსენებაც-კი არ არის ამ წლების სიბში, რომელსაც ყოველ წლივ წარუდგენს ხოლმე სასანიტარო მკურნალი ტფილისის გამგეობას, ფინს-კი იხსენიებს [3]).

პირველი ტრიხინიანი ღორი აღმოჩენილა მხოლოდ 1893 წლის დეკემბერში, ისიც მარტო ერთი შემთხვევა ყოფილა 6615 ღორში.

ამ სახით გამოდის, რომ მინამ სასანიტარო—სამკურნალო და სავეტერინარო ზედამხედველობა დაწესდებოდა, ტრიხინისა თითქმის ხსენებაც არა ყოფილა ტფილისში. მართალია, 1890 წინა წლების ცნობანი არა გვაქვს, მაგრამ ამ წლიდამ თითქმის 1894 წლამდე ხომ უსინჯავთ, უჩხრეკიათ და არა აღმოჩენილა-რა.

[1]) იხ. Докладъ управы объ организаціи изслѣдованія свиныхъ тушъ № 747, года 1893-го.

[2]) „ფინი“, ანუ ქართულად „გვარი“ ისე საშიში არ არის, როგორც ტრიხინი.

[3]) იხ. Вѣдомость досмотра скота по городской бойнѣ въ теченіе 1891 года.

თუ უფინაც ყოფილიყო, არ შეიძლება ამ სამ-ოთხ წელიწადშიაც ტრიხინას თავი არ ეჩინა ერთხელ მაინც. თავი იჩინა მხოლოდ 1893 წლის დეკემბერში, ისიც მარტო ერთს შემთხვევაში 6615-ისაგან. ეს დავიხსომოთ: 1893წ. ერთი ტრიხინანი აღმოჩნდა 6615 ღორში ტფილისის საყასბოში.

1894 წელის იანვარში, ესე იგი, ერთის წლის შემდეგ, როცა ჩვენს ჯანმრთელობის პატრონი სასანიტარო-სავეტერინარო ზედამხედაობა დაწესდა, ანაზდად გატყვრა ტფილისის საყასბოში 10 ტრიხინიანი ღორი, თებერვალში—15, მარტში 3, აპრილში—1, [4]) სეკტემბერში—1 ოკტომბერში—4, ნოემბერში—10 დეკემბერში—12. ამ სახით გამოდის, რომ 1894 წელს—56 ტრიხინიანი ღორი ყოფილა დაკლული ტფილისის საყასბოში,

1895 წლის იანვარში 18 ტრიხინიანი ღორი აღმოჩენილა საყასბოში დაკლული, თებერვალში—10, მარტში—2, სეკტემბერში—5, ოკტომბერში—8, ნოემბერში—12, დეკემბერშიც—12, სულ 67 ტრიხინიანი ღორი [5]).

რომ ცხადად იყოს ყველაფერი თვალწინ ტ შევიტყოთ რამოდენად უბარტყნია ჩვენში ტრიხინიანს ღორს იმ დღიდამ, როცა სასანიტარო-სამკურნალო ტ სავეტერინარო ზედამხედველობა ჩვენდა საკეთილდღეოდ დაუწესებიათ, საჭიროდ ვხედავთ შემდეგი სქემა აღვნიშნოთ, საცა ვიჩვენებთ რა წელიწადში რამდენი ღორი დაკლულა და იმათში რამდენი ტრიხინიანი ღორი ყოფილა.

წელიწადი	დაკლული ღორი	ტრიხინიანი
1893	15410	1
1894	16637	56
1895	15475	67
1896	17558	54 [6])

ამ სახით გამოდის, რომ მატებას ზედამხედველობის ხარჯისას ამოდ არ ჩაუვლია. თუ გასავალს უმატნია, შემოსავალიც არ ჩამორჩენილა უკან: სულ ერთი ღორი ჭოლიათ 1893 წელს ტრიხინიანი და ეს ერთად-ერთი ტრიხინიანი ღორი 1894 წელს 56-ად და 1895 წელს 67-ად უქცევიათ. მეტი გაძლიერება-ღა იქმნება შემოსავლისა ერთი ორმოცდა თექვსმეტად და სამოცდა შვიდად აქციოს კაცმ! აი „კულტურაც“ ამასა ჰქვიან.

რის „კულტურაო“? იკითხავთ. „კულტურა“ ტრიხინისა. დიახ, მოსწონთ ცხოველებსაც, ე. ი. როგორ შეიქმნა პირველად გრძნობა სიმშვენიერისა, ამას ჩვენ ვერ ვიტყვით, როგორც ვერ ვიტყვით იმასაც, როგორ გახდნენ სასიამოვნონი ზოგიერთნი სურნელებანი და გემონი. ალუბალი თავისს ნაყოფს აძლევს წითელს ფერს და მშვენიერს გემოს იმისათვის, რომ ამითი მოიწვიოს ფრინველები, რომელნიც შესჭამენ ამ ნაყოფს და მის კურკებს გაიბნევენ თავის განვალით სხვა-და-სხვა ადგილებში და ამით გამრავლებენ ალუბლის მოდგმას.

ამ გვარადვე მცენარეები სცდილობენ, რაც შეიძლება მხიარული ფერი მისცენ თავისს ყვავილებს, რაც შეიძლება სურნელოვანნი იყვნენ, რაც შეიძლება ბევრი ტკბილი წვენი ჰქონდეთ, რომ ამით მიიზიდონ მწერები, პეპელები, ბუზები, რომლებსაც გადააქვთ მარცვლები მამალ ყვავილიდან დედალ ყვავილზედ, და ამით გაამრავლონ თავისი ჩამომავლობა. თვით ყვავილი ზოგიერთ მცენარეებს ორ გვარი აქვთ: ერთი, უფერული და დახურული; ეს ყვავილები იდებენ თესლს ქარის საშუალებით, და მეორე გვარი, ღია, მხიარულის ფერისა და სურნელოვან ტკბილ ნექტართ; ეს ყვავილები იღებენ თესლს მწერების საშუალებით და ამისთვის ამ უკანასკნელის მისაზიდად უნდა შემკულნი იყვნენ ამ გვარ თვისებანით. რასაკვირველია, ის მცენარეები, რომლებიც იქნებიან ამ თვისებით აღჭურვილნი, გამრავლდებიან, აჯობებენ სხვა გვარ მცენარეებს, უკანასკნელნი-კი უნდა დაიხოცნენ ამ ბრძოლაში. ეს სასარგებლო ცვლილება გარდაეცემა ჩამომავლობას, უფრო დამკვიდრდება ეს ცვლილება და ამ გვარად შეიქმნება ახალი მცენარე, სულ არა მსგავსი წინაპარისა.

მთის ცხოველები, ყველამ კარგად იცის, განირჩევიან ბარის ცხოველებისაგან. მთიანი ადგილი უსათუოდ გავლენას იქონიებს უკანა ფეხებზედ და შესცვლის მათ, რაგდან უფრო დიდი ძალა დაადგებათ ვიდრე ვაკეზედ; ჩვენ-კი ვიცით, რომ ორგანიზმის ნაწილთა შორის არსებობს კავშირი და თანასწორობა, მაშასადამე, შეცვლა უკანა ფეხებისა გამოიწვევს შეცვლას წინა ფეხებისას, თავისას და უფრო მეჯეგბისას, რომლებიც ახლოს არიან უკანა ფეხებთან. მეჯეგბის შეცვლას, რასაკვირველია, გავლენა ექნება მშობიერ სისტემასა და მის ნაყოფზედ. ძლიერი სუნთქვა მთებში უსათუოდ შესცვლის გულ-მკერდს, ამ შეცვლას მოჰყვება სხვა ორგანოების შეცვლა, ფილტვებისა, გულისა და სხვ. საჭმელს, შერთვას ანუ შეუღლებას, დამოკიდებულებას ორგანიზმთა შორის თავისი გავლენა ექნებათ და ამგვარად ნელ-ნელა მთაში შეიქმნება ახალი გვარი ცხოველი, რომელიც უფრო შეთვისებულ-შეხამებული იქმნება მთაში ცხოვრების გარემოებასთან. რომ დავაკვირდეთ მწერებსა და ფრინველებს, შევნიშნავთ, რომ მწერები, რომელნიც იკვებებიან ფოთლებით, მწვანე ფერისანი არიან, და თუ იკვებებიან ხის კანით, ნაცრის ფერი აღეკვთ. ტყის ქათამი კიდევ ჩადუნას ფერია, რომელშიაც იგი ხშირად ჰზის. ეს ფერები, ბუნებითის შერჩევის ძალით, იმად მიენიჭათ, რომ დაიფარონ ისინი სხვა მცენარეებისა, ფრინველებისაგან, რომლებიც მათ სჭამენ და ამ ცვლილებათა მეოხებით გამარჯვებულნი დარჩნენ ბრძოლაში. მართლაც, როდესაც მწერი ფოთლის ანუ ხის კანის ფერია, მაშინ მჭამელი მწერი ძნელად გაარჩევს მას ხის ფოთლისა და კანისაგან. აგრეთვე ქორი ვერ დაინახავს ტყის ქათამს ჩადუნაში, რაგდან შემჩნეულია, რომ ქორი ყოველთვის უფრო თეთრს ფერს ეტანება, მაგალითად, თეთრ ფერ მტრედებს ხშირად ეტაცებს ხოლმე. ბუნებითი შერჩევა ჰმოქმედობს ნელ-ნელა, ამისათვის ორგანიზმებიც ხანგრძლივად იცვლებიან. ამ შეცვლილ ორგანიზმთა შორის ისევ ასტყდება ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სიცოცხლისთვის; ამ ბრძოლაში წინაპრები, როგორც ნაკლებად შეცვლილნი და უფრო ცუდად შეწყობილნი გარემოებასთან, უნდა დაიხოცნენ, ამისათვის ჩვენ ვერ ვხედავთ დღეს დედამიწაზედ მათს წინაპრებს ცოცხლებს და გვიკვირს, როდესაც გვეუბნებიან, რომ მრავალნი გვარნი ორგანიზმებისა წარმომდგარნი არიან ერთის წინაპარისაგან, რომელიც ეხლა აღარა სცხოვრობსო. თუ შეცვლილი ჩამომავლობა და მისი უწინდელი წინაპარი გაშორდნენ ერთმანეთს რომელისამე გეოგრაფიულ „მიზეზისა გამო, მაშინ მათი ცხოვრება შეიცვლება, მათ შორის აღარ ასტყდება ბრძოლა და შესაძლებელია წინაპარმა ცალკე იცოცხლოს, მისმა ჩამამავლობამ კიდევ ცალკე. ამ მოვლენას ჩვენ ვამჩნევთ, როდესაც ვაკვირდებით ზოგიერთს ცხოველებს, დამეცარეებს კუნძულზედ. კუნძულსა და ხმელეთს შუა ყოველთვის წყალია, ასე რომ ცხოველებს და მცენარეებს არ შეუძლიანთ გადასვლა-გადმოსვლა კუნძულიდგან ხმელეთზედ. ამისათვის წინაპარი და მისი ჩამომავალი სრულებით არ შეხვდებიან ერთმანეთს. დარვინს და სხვა მეცნიერებსაც აღწერილი აქვთ ერთი გვარი ცხოველი (утконосъ), რომელსაც უჭირავს ორთა შუა ადგილი ძუძუმწოვარა ცხოველთა და ფრინველთა შორის. ეს ცხოველი დარჩა მარტო ერთ ადგილას განსაკუთრებულ გარემოების გამო და ეხლა ნელ-ნელა ისპობა. თითონ იხვის მსგავსია, სცურავს, ბუმბულთან შემოსილია, მხოლოდ ჰშობს და არა კვერცხებიდგან სჩეკავს და ძუძუების ნიშნებიცა აქვს.

ამერიკაში არის კვერნის მსგავსი ცხოველი, რომელსაც ჰქვიან Mustela vison, ეს ცხოველი მიწაზედ მოსიარულეა და წყალში მცურავ ცხოველთან უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მას ოთხი ფეხი აქვს, რომლის თითები შეერთებულნი არიან გარსით; კუდი და მისი ტანი მშვენიერ კვერნის მსგავსის ბეწვით არის შემოსილი. ზაფხულობით ეს ცხოველი წყალში სცხოვრობს და იკვებება ტრიხინის გამრავლებასაც „კულტურა“ ჰქვიან, ანუ, როგორც რუსები იტყვიან: „культивированіе трихины“

საიდამ დაიწყო ამ „კულტივირორვანიემ“ და როგორ შემოსა ძლევით, ამას მერმედ მოგახსენებთ. ამას-კი გთხოვთ იცოდეთ, რომ ყოველ იმისი, რაცა ვსთქვით, უტყუარის საბუთებით დამტკიცება შეგვიძლიან.

მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა: დადის მოსაგრის დიმიტრი კონსტანტინეს ძის სახელობის სამეგრელოს მე-16 გრენადერთა რაზმის მოდელოვნიკი საგინაშვილი—დადის მოსაგრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის კავკასიის პირველ მსროლელთა ბატალიონის უფროსად.

დათხოვნილ იქმნენ: ტფილისის სამოსამართლო პალატის კანცელარიის მოსელენი კოლეგიესი სეკრეტარი სიმონ ალექსანდრეს ძე პავლიაშვილი და დავით გიორგის ძე ქიქოძე სამსახურიდგან თავისისაკენ თხოვნის თანახმად.

ნეკროლოგი

† მონაზონი ნინო ასათიანისა

ოთხშაბათს, 30 აპრილს, ტფილისში გარდაიცვალა მონაზონი ნინო (გვარად ასათიანი) 102 წლისა. განსვენებული აგერ 60 წელზედ მეტია წმ. მაამ დაეთინის ეკლესიასთან სცხოვრებდა თავისს სენაკში. მოხუცებულობის მიუხედავად ყოველთვის ჯან საღი იყო და სიკვდილამდე კარგად ჰქონდა შერჩენილი თვალის სინათლე, სიმახვილე სმენისა და სიმტკიცე სულისა. განსვენებულს ბევრნი იცნობდნენ ტფილისში და ყველანი პატივის ცემით ეპყრობოდნენ. იგი საკუთარის ხელ-საქმითა სცხოვრობდა, ხოლო ამ ბოლოს დროს აქეთ-იქიდგან ხელს უმართავდნენ და ეხმარებოდნენ. ძალიან ებრალებოდა და ეწყალებოდა ღარიბნი და ღატაკნი. მისის სენაკის კარი ყოველთვის ღია იყო გაჭირებულ ქრისტეთა და ობოლთ საშველად და საშემწეოდ. რამდენიმე ობოლიც გამოჰზარდა და კეთილს გზაზედ დააყენა. როგორც დიდად მორწმუნე ქრისტიანი, ზრუნავდა რა სულისა თვისისათვის, თავისის გვამის საუკუნო სამკვიდრებლისათვის იზრუნა განსვენებულმა სიკვდილის წინად: სასულიერო მთავრობის ნება-დართვით ადრე განამზადა სამარე წმ. მამა დავითის ეკლესიის ეზოში.

ახალი ამბავი

—

* * * კავკასიის სიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთ მორიგი კრება ჰქონდათ. კრებამ საზოგადოების პრეზიდენტად მთავარ-მართებელი თავ. გალიცინი აირჩია ერთხმად, ნაცვლად ყოფილ პრეზიდენტისა, განსვენებულის ს. ა. შერემეტიევისა.

* * * პირველ მაისიდგან სამხედრო ბეგარის საკრებულოში უკვე შეაქვთ თავისი საბუთების ქაღალდები იმათ, რომელთაც ოჯახობრივ მდგომარეობის გამო პირველის ხარისხის შელავაიი ეძლევათ და აგრეთვე იმათ, რომელნიც სწავლობენ და სწავლის დამთავრებამდე სამხედრო ბეგრის გარდახდა უნდა დაეცადოთ. პირველთ უნდა წარადგინონ საკრებულოში პოლიციის მოწმობა, ხოლო უკანასკნელთ იმ სასწავლებლის უფ-

მოსწონთ ცხოველებსაც, ე. ი. როგორ შეიქმნა პირველად გრძნობა სიმშვენიერისა, ამას ჩვენ ვერ ვიტყვით, როგორც ვერ ვიტყვით იმასაც, როგორ გახდნენ სასიამოვნონი ზოგიერთნი სურნელებანი და გემონი. ალუბალი თავისს ნაყოფს აძლევს წითელს ფერს და მშვენიერს გემოს იმისათვის, რომ ამითი მოიწვიოს ფრინველები, რომელნიც შესჭამენ ამ ნაყოფს და მის კურკებს გაიბნევენ თავის განვალით სხვა-და-სხვა ადგილებში და ამით გამრავლებენ ალუბლის მოდგმას.

ამ გვარადვე მცენარეები სცდილობენ, რაც შეიძლება მხიარული ფერი მისცენ თავისს ყვავილებს, რაც შეიძლება სურნელოვანნი იყვნენ, რაც შეიძლება ბევრი ტკბილი წვენი ჰქონდეთ, რომ ამით მიიზიდონ მწერები, პეპელები, ბუზები, რომლებსაც გადაქვთ მარცვლები მამალ ყვავილიდგან დედალ ყვავილზედ, და ამით გაამრავლონ თავისი ჩამომავლობა. თვით ყვავილი ზოგიერთ მცენარეებს ორ გვარი აქვთ: ერთი, უფერული და დახურული; ეს ყვავილები იდებენ თესლს ქარის საშუალებით, და მეორე გვარი, ღია, მხიარულის ფერისა და სურნელოვან ტკბილ ნექტართ; ეს ყვავილები იღებენ თესლს მწერების საშუალებით და ამისთვის ამ უკანასკნელის მისაზიდად უნდა შემკულნი იყვნენ ამ გვარ თვისებანით. რასაკვირველია, ის მცენარეები, რომლებიც იქნებიან ამ თვისებით აღჭურვილნი, გამრავლდებიან, აჯობებენ სხვა გვარ მცენარეებს, უკანასკნელნი-კი უნდა დაიხოცნენ ამ ბრძოლაში. ეს სასარგებლო ცვლილება გარდაეცემა ჩამომავლობას, უფრო დამკვიდრდება ეს ცვლილება და ამ გვარად შეიქმნება ახალი მცენარე, სულ არა მსგავსი წინაპარისა.

მთის ცხოველები, ყველამ კარგად იცის, განირჩევიან ბარის ცხოველებისაგან. მთიანი ადგილი უსათუოდ გავლენას იქონიებს უკანა ფეხებზედ და შესცვლის მათ, რაგდან უფრო დიდი ძალა დაადგებათ ვიდრე ვაკეზედ; ჩვენ-კი ვიცით, რომ ორგანიზმის ნაწილთა შორის არსებობს კავშირი და თანასწორობა, მაშასადამე, შეცვლა უკანა ფეხებისა გამოიწვევს შეცვლას წინა ფეხებისას, თავისას და უფრო მეჯეგბისას, რომლებიც ახლოს არიან უკანა ფეხებთან. მეჯეგბის შეცვლას, რასაკვირველია, გავლენა ექნება მშობიერ სისტემასა და მის ნაყოფზედ. ძლიერი სუნთქვა მთებში უსათუოდ შესცვლის გულ-მკერდს, ამ შეცვლას მოჰყვება სხვა ორგანოების შეცვლა, ფილტვებისა, გულისა და სხვ. საჭმელს, შერთვას ანუ შეუღლებას, დამოკიდებულებას ორგანიზმთა შორის თავისი გავლენა ექნებათ და ამგვარად ნელ-ნელა მთაში შეიქმნება ახალი გვარი ცხოველი, რომელიც უფრო შეთვისებულ-შეხამებული იქმნება მთაში ცხოვრების გარემოებასთან. რომ დავაკვირდეთ მწერებსა და ფრინველებს, შევნიშნავთ, რომ მწერები, რომელნიც იკვებებიან ფოთლებით, მწვანე ფერისანი არიან, და თუ იკვებებიან ხის კანით, ნაცრის ფერი აღეკვთ. ტყის ქათამი კიდევ ჩადუნას ფერია, რომელშიაც იგი ხშირად ჰზის. ეს ფერები, ბუნებითის შერჩევის ძალით, იმად მიენიჭათ, რომ დაიფარონ ისინი სხვა მცენარეებისა, ფრინველებისაგან, რომლებიც მათ სჭამენ და ამ ცვლილებათა მეოხებით გამარჯვებულნი დარჩნენ ბრძოლაში. მართლაც, როდესაც მწერი ფოთლის ანუ ხის კანის ფერია, მაშინ მჭამელი მწერი ძნელად გაარჩევს მას ხის ფოთლისა და კანისაგან. აგრეთვე ქორი ვერ დაინახავს ტყის ქათამს ჩადუნაში, რაგდან შემჩნეულია, რომ ქორი ყოველთვის უფრო თეთრს ფერს ეტანება, მაგალითად, თეთრ ფერ მტრედებს ხშირად ეტაცებს ხოლმე. ბუნებითი შერჩევა ჰმოქმედობს ნელ-ნელა, ამისათვის ორგანიზმებიც ხანგრძლივად იცვლებიან. ამ შეცვლილ ორგანიზმთა შორის ისევ ასტყდება ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სიცოცხლისთვის; ამ ბრძოლაში წინაპრები, როგორც ნაკლებად შეცვლილნი და უფრო ცუდად შეწყობილნი გარემოებასთან, უნდა დაიხოცნენ, ამისათვის ჩვენ ვერ ვხედავთ დღეს დედამიწაზედ მათს წინაპრებს ცოცხლებს და გვიკვირს, როდესაც გვეუბნებიან, რომ მრავალნი გვარნი ორგანიზმებისა წარმომდგარნი არიან ერთის წინაპარისაგან, რომელიც ეხლა აღარა სცხოვრობსო. თუ შეცვლილი ჩამომავლობა და მისი უწინდელი წინაპარი გაშორდნენ ერთმანეთს რომელისამე გეოგრაფიულ „მიზეზისა გამო, მაშინ მათი ცხოვრება შეიცვლება, მათ შორის აღარ ასტყდება ბრძოლა და შესაძლებელია წინაპარმა ცალკე იცოცხლოს, მისმა ჩამამავლობამ კიდევ ცალკე. ამ მოვლენას ჩვენ ვამჩნევთ, როდესაც ვაკვირდებით ზოგიერთს ცხოველებს, დამეცარეებს კუნძულზედ. კუნძულსა და ხმელეთს შუა ყოველთვის წყალია, ასე რომ ცხოველებს და მცენარეებს არ შეუძლიანთ გადასვლა-გადმოსვლა კუნძულიდგან ხმელეთზედ. ამისათვის წინაპარი და მისი ჩამომავალი სრულებით არ შეხვდებიან ერთმანეთს. დარვინს და სხვა მეცნიერებსაც აღწერილი აქვთ ერთი გვარი ცხოველი (утконосъ), რომელსაც უჭირავს ორთა შუა ადგილი ძუძუმწოვარა ცხოველთა და ფრინველთა შორის. ეს ცხოველი დარჩა მარტო ერთ ადგილას განსაკუთრებულ გარემოების გამო და ეხლა ნელ-ნელა ისპობა. თითონ იხვის მსგავსია, სცურავს, ბუმბულთან შემოსილია, მხოლოდ ჰშობს და არა კვერცხებიდგან სჩეკავს და ძუძუების ნიშნებიცა აქვს.

ამერიკაში არის კვერნის მსგავსი ცხოველი, რომელსაც ჰქვიან Mustela vison, ეს ცხოველი მიწაზედ მოსიარულეა და წყალში მცურავ ცხოველთან უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მას ოთხი ფეხი აქვს, რომლის თითები შეერთებულნი არიან გარსით; კუდი და მისი ტანი მშვენიერ კვერნის მსგავსის ბეწვით არის შემოსილი. ზაფხულობით ეს ცხოველი წყალში სცხოვრობს და იკვებება

ფევზებით, ზამთრობით დადის ხმელეთზედ, იჭერს თაგვებს და სხვა მიწა-მძერალა ცხოველებს. სირაქლემა და სამხრეთ ამერიკის იხვი აღარა ხმარობენ თავისს ფრთებს საფრენად, მაშასადამე, იცვლებიან მოსიარულე ცხოველებად. არიან გარეული ბატები, რომლებსაც თითებ შუა გარსი აქვთ, მაგრამ თავისს დღეში არ ეკარებიან წყალს, მაშასადამე, წყალში მცურავ ცხოველების რიცხვიდგან ირიცხებიანან.

ზემოხსენებულნი შემთხვევანი იშვიათია, უმეტესად ცხოველები და მცენარეები ერთმანეთთან სცხოვრობენ. გარდა ამისა, ერთ ადგილასაც არა სჩერდებიან, არამედ გადადიან ერთი ადგილიდგან მეორეზედ, მეტადრე თუ გარემოება ხელს უწყობთ. მაგალითად, ერთგვარის, ერთ ჯიშის თევზებს ვხედავთ როგორც იაპონიის ზღვაში,—ისე ხმელთა ზღვაში,—ასე ფართოა საზღვარი მათის მოგზაურობის. ამ მოგზაურობის მიზეზით ხანგრძლივის დროს შემდეგ დედამიწის ზურგის სხვა-და სხვა ადგილას გვხდებიან ერთგვარის, ერთ ჯიშის ორგანიზმები, ასე გეგონებათ ეს ორგანიზმები შეიცვალნენ ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა დედამიწის კუთხეში, ნამდვილად-კი იმათ ჰყავდათ ერთი წინაპარი, მხოლოდ შემდეგში გადასახლდნენ და გაშორდნენ ერთმანეთს.

გიორგი დეკანოზიშვილი

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსის მოწმობა, რომელშიაც სწავლობენ. ასეთი მოწმობანი ამ მაისის თვის დამლევამდე მიიღება.

⁂ რუსულმა საოპერეტო დასმა გუშინ პირველი წარმოდგენა გაჰმართა სათავად-აზნაურო თეატრში. წარმოადგინეს მილლეკერის ოპერეტი: „ღატაკი სტუდენტი“, ამ წარმოდგენაზედ უფრო დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება ქ-ნმა კრონენბერგმა ლაურას როლში და ბ-ნმა რეზუნოვმა—სტუდენტმა სიმონმა. თეატრი თითქმის სავსე იყო. საუკეთესო არტისტებს, რომელნიც ამ დასში არიან მოწვეულნი, ჯერ არ მიუღიათ მონაწილეობა.

⁂ როგორც ამბობენ, კავკასიის სამკურნალო მმართველობა იმის ზრუნვაშია და წეს-რიგს იერკვევს, რომ ჩვენს მხარეში საქონელზე თვალ ყურის გდება უფრო განკარგდეს, რათა საქონელი სხვა-და-სხვა სენისაგან უზრუნველ ყოფილ იქმნას.

⁂ გორის ხიდი ეტლთა სასიარულოდ, როგორც ამბობენენ, 6 მაისისთვის გაიხსნება. „ტიფ. ლისტ“-ს სიტყვით, ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციის შუამდგომლობის თანხმად, შინაგან საქმეთა და საფინანსო სამინისტროს შესაძლოდ უცვნიათ, ამ ხიდზე მოსიარულე ეტლები ბაეისაგან განთავისუფლებული იქმნას.

⁂ „ნოვ. ობზ“.-ს გაუგონია, რომ კავკასიის რკინის გზის მართველობას აზრად აქვს მთავრობას ნებართვა სთხოვოს, რათა რკინის გზის დარაჯნი ბერძენის თოფებით იყვნენ შეიარაღებულნიო.

⁂ გაზ. „ნოვ. ობზ.“-ს სიტყვით, მომავალ 1898 წ. 1 იანვრიდგან კავკასიის აქეთა მხარეს და ყუბანის ოლქში ყველა ქალაქსა და დაბაში სახელმწიფო გარდასახადი უძრავ მამულის რაოდენობის კვლობაზედ იქმნება გაწერილი, ნაცვლად კაცის თავზედ გაწერისა, როგორც აქამდე არსებობდა.

⁂ სიღნაღი. მელქო ამირხანოვის ბაღში, ნუკრიანის მცხოვრები ისაკ მანჯაფარაშვილი ვილაცამ თოფით მოჰკლა. თუმცა ყოველ გვარი ღონისძიებაა ნახმარი, მაგრამ მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

⁂ სოფ. ურბნისი. (გორის მაზრა) ურბნისის მკვიდრთ ტფილისის გუბერნატორისათვის უბოზიათ, მტკვარზედ ბორანის გაკეთების ნება მოგვეცითო. ბორანით გამსვლელთ შემდეგი ბაჟი გარდახდებათ: ქვეითა კაცს —2 კაპ., ცხენოსანს—5 კაპ., დატვირთულ ურემს—10 კაპ., უტვირთოს—5 კაპ., წვრილ-ფეხა საქონელზედ—1 კაპ. და მსხვილ-ფეხაზედ—2 კაპ. გუბერნატორს ეს თხოვნა გორის მაზრის უფროსისათვის გაუგზავნია, რომ ამ საქმის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვას.

⁂ ნატანება: 30 აპრილს მე-63 ვერსზე რკინის გზის დარაჯმა იპოვნა გასრესილი კაცი. ამ კაცის ვინაობა ჯერ არ იციან.

⁂ სუფსა: რკინის გზის მოსამსახურეთა შორის საოფლეა გაჩენილი. სამიარის ავად. რკინის გზის გამგეობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ ეს სენი როგორმე მოსპოს.

დაბალ სოფელი

სოფ. ღები. (რაჭის მაზრა) სოფელი ღები გაშენებულია მდინარე რიონის სათავეს მახლობლად, მთებში. მეკედრნი სულ სახელმწიფო გლეხებისაგან შესდგებიან. ჭირნახულშია მხრტო ქერი მოდის, ისიც მცირე. ს

ტორი და თანამშრომლები უნიპონი არიან, ცუდად მიჰყავთ ჟურნალი, თანაგრძნობა საზოგადოებისა მთლად დაუკარგეს და თავისივე ხელით მარხვენო მას,როგორც ამას მაბრალებს ჩვენი პატიცეემული დუტუ? არსადა არასოდეს.

არამც თუ ეხლა, არც წინა წლებში ხსენებულის ჟურნალის გარჩევა და დაფასება მე არ მიკისრია, თუმცა „კვალის« რედაქცია აგერ სამი წელიწადია მოსვენებას არ მაძლევს, ასე გასინჯეთ, არც აღდგომას, არც ახალწელიწადს და არც შობასა, ისეთი ბოროტებით არის აღსავსე ჩემ წინააღმდეგ. მე მხოლოდ სამედიატორო საკითხი დავადგინე ჩემს უკანასკნელს წერილში, რომელიც ჯეჯილსაც შეეხებოდა. გადაწყვეტით მე ამ საკითხში არაფერი მითქვამს „ჯეჯილის“ და „კვალის“ ავკარგიანობაზედ. ეს მე სავსებით მიენდე საუნივერსიტეტო - სამართალსა.

მაშ რა მიზეზით, რა საბუთით მსწვდა მე ბატონი დუტუ? მას, როგორც ეტყობა, „ცნობის ფურცლის“ წერილი „ჯეჯილის“ წინააღმდეგ ჩემად უცვნია და ჩემთან საბრძოლველად გამოსულა. დალოცვილი, ჯერ შეიტყობდა, ვინ არის ეს სასტიკი კრიტიკოსი და მერმე ისე გამოილაშქრებდა საადვოკატო მჭერმეტყველებით. ჯერ ფონს იკითხავდა, მერე წყალში შევიდოდა. თორემ სადაურია, პაატამ ბრეგაადინოს „ჯეჯილსა“ და იაკობს სთხოვდეთ პასუხსა. ჩვენი მობაასე ამ შეცდომას ადვილად ასცილდებოდა, თუ რომ მას გაეხსენებინა, რომ მე ჩემს ნაწერებს ყოველთვის ვაწერ ქვეშ ან სრულ სახელ-გვარსა და ან იმისთანა ფსევდონიმსა, რომელიც ბევრმა შინაურმა, ქართველმა, კარგად ისცის.

თუ მოსკოვის სტუდენტებმა, ხუთი ათასი ვერსის სიშორეზედ, კარგად შეატყეს „ცნობის ფურცლის“ წერილს, რომ იგი არც კილოთი, არც ენით და არც მსჯელობის ხასიათით და მიმდინარეობით მე არ მომეწერებოდა, ბ-ნს დუტუს რაღად გაუჭირდა ეს ოლთისში. თუ „კვალ-ჯეჯილის“ რედაქციამ მიაწოდა ეს ცნობა, არ უნდა დაეჯერებინა, რადგანაც იგი ჩემ შესახებ დაუღალავად ავრცელებს ჭორებს, რომლის სიცრუეში თითონვე დარწმუნებული.

ვიცი, ბ-ნი დუტუ მეტყვის: თქვენი სამედიატორო საკითხიდგან სჩანს, რომ თქვენ ,,ჯეჯილის'' მდარე ჟურნალად სთვლითო. ეს მართალია, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ მდარესა და უმსგავსს შორის კაი მანძილია, მეორედ—ქართველებში ვინ არა სთვლის მას მდარე გამოცემად? და აი ამისი უტყუარი საბუთიც: ამ ჟამად ,,ჯეჯილის'' ჰყავს, როგორც ამბობენ, მხოლოდ ას-ორმოც-და-ათი ხელის მომწერი და ისინიც ნაშოვნნი არიან რედაქციის აგენტების ჩიჩინის წყალობით. ეს ჩიჩინი რომ შეჩერდეს, ჟურნალი მთლად გაირიყება. ამის შიში თვითონ რედაქტორმაც გამოაცხადა „კვალში''. თქვენ ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას აბრალებთ არა რედაქციის უხეირობას, არამედ ქართველი საზოგადოების შეუგნებლობას, გულგრილობას, დაუდეგრობას. მაგრამ ნუ თუ ჩვენი სამშობლო ქვეყანა ისე წყალ-წყღებულია, რომ მასში არ მოიპოვება ხუთას-ექვსასი სახლობა მაინც, რომელსაც ესმოდეს დიდი, შეუდარებელი მნიშვნელობა საბავშო ჟურნალისა? ამას არავინ დაგიჯერებთ. თუ ეს სახლობანი არ იწერენ „ჯეჯილსა“, ეს იმისაგან უნდა იყოს, რომ არც ენით და არც შინაარსით შესაფერ საზრდოდ არა სთვლიან მას თავისი შვილებისათვის.

განა გულში თქვენ თვითონ სხვა აზრისანი ხართ? არა მგონია. ერთის წლის წინედ, როდესაც „ჯეჯილი“ უფრო შინაარსიანი იყო, თქვენ თვითონ სწუხდით მის სიმდარეზედ და, სხვათა შორის, მირჩევდით მეც მიმეღო მონაწილეობა და სხვებიც მიმეზიდნა ჟურნალისადმი, და ახლა-კი პანეგირიკს უწერთ, როდესაც „ჯეჯილი“, თვით მისი მოსკოველი მეგობრების სიტყვით, წინანდელზედ ბევრად დაბლა ჩამოვიდა. ამას ისიც უნდა დავუმატო, რომ თქვენთან საუბრის შემდეგ მე გავუგზავნე „ჯეჯილის“ რედაქციას, ის საყმაწვილო მოთხრობა, რომელიც ,,ცნობის ფურცელში'' დაიბეჭდა საადგომოდ (ერეკლე მეფე და ინგილო ქალი). მაგრამ უკანვე მივიღე პირადი სიბოროტის გამო, როგორც ეს ნახსენები მჭონდა ამას წინად ერთის ჩემს წერილში. ერთმა ჩემმა ნაცნობმაც გაუგზავნა მოთხრობა მშვენიერი ქართული ენით დაწერილი; მაგრამ ისე დამახინჯებული და გაფუჭებული დაიბეჭდა იგი «ჯეჯილში», რომ ავტორმა ქვა მიაგდო რედაქციას. ეს ქაჯი დამახინჯებისა არის, სხვათა შორის, მიზეზი იმისი, რომ ბევრნი ნიჭიერნი მწერალნი მონაწილეობას სრულიად არ იღებენ ჩვენს საბავშო ჟურნალში და ვინც იღებს, ისინიც თავის თავს ძალას ატანენ.—

ჩვენი მობაასე ბრძანებს: თუ სიმცირეს „მოამბის'' ხელის მომწერლებისას თქვენ აბრალებთ საზოგადოების გულ-გრილობას, რატომ ამავე მიზეზს არ უნდა მიეწეროს „ჯეჯილის“ მცირე გასავალი საზოგადოებაშო? ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ თვით საუკეთესო საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალებს არამც თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიც მცირედი ხელის მომწერი ჰყავთ, რადგანაც გაზეთები კონკურენციას უწევენ ჟურნალებსა და ბევრს მკითხველებს ართმევენ მათ. საბავშო ჟურნალს-კი ცილობას ვერ გაუწევს ვერც ერთი გაზეთი და ამიტომ მას ყველგან ბლომადა ჰყავს ხელის მომწერი, თუ იგი ცოცხლად და გონივრად მიჰყავს რედაქციასა. საქართველოში მხოლოდ ერთად ერთი საბავშო ჟურნალი არსებობს, ყოველს კონკურენციას მოკლებულია, და მას ეყოლებოდა 400—600 დამბარებლამდე, თუ იგი ნახევრობით მაინც ასრულებდეს თავისს მაღალს დანიშნულებას და საზოგადოების მოთხოვნილებასა.

ქებით და პანეგირიკით რომ „ჯეჯილს“ ეშველებოდეს, არც მე დავივარდებოდით ადვოკატობაში, ჩემო მობაასეევ, რადგანაც ბრმა ბოროტება სავსებით დამილოცნია სხვებისათვის. მაგრამ კარგად მოგეხსენებად, რომ ჭირი დამალვით არავის განუკურნია და ყორანი ხეხით არავის გაუთეთრებია. და ვერც მე და თქვენ შეგძლებთ ამასა.

„ჯეჯილის“ სიმდარეს იმიტომ-კი არ ვაღიარებ, რომ ჩემი თავი მიმიჩნია იმისთანა პირად, რომელსაც შეუძლიან ჯეროვან სიმაღლემდინ აიყვანოს იგი და მოუპოვოს სრული თანგრძნობა ყოველი შეგნებული ქართველი ოჯახისა. სრულიადაც არა. საბავშო ჟურნალის სამაგალითოდ წარმოებისათვის საჭიროა ჩემზედ ნაკლებად ხნიერი, ჩემზედ უფრო ჯანსაღი, ჩემზედ ნაკლებად გაბეზრებული ოც და ათის წლის ბრძოლით შინაურს და გარეულს უკუღმართობასთანა. გარდა ამისა მე სხვა საზოგადო საქმეებს ვიდგავარ, რომელნიც, ვგონებ, არა ნაკლებ საჭირონი არიან, და რომელთა პირნათლად გაძღოლა ითხოვს სრულს ჩემს დროსა და ძალასა.

სასიხარულოდ ჩვენდა, ქართველ პედაგოგთა შორის მოიპოვებიან იმისთანანი, რომელთაც შეუძლიან ჩინებულად წაიყვანონ საბავშო ჟურნალი, პირველსავე წელიწადს ერთი ოთხად მეტი თანამშრომელი და ხელის მომწერელი მოუპოვონ მას და ახლო მომავალში ათასს ქართველს სახლობას შეაყვარონ იგი და გახადონ საარსო, მიუცილებელ საჭიროებად.

„ჯეჯილის“ გადაცემით მომავალს წლიდგან ცნობილნი მეუღლენი დიდს მოგებაში იქნებიან. ახლა იგინი მისდევენ ორს კურდღელსა და ორივე ხელიდგან მისდით, ზარალობენ. მაშინ კი თავის მთელს ძალას მოახმარებენ მხოლოდ „კვალს“, გაუკეთებენ მას, ბევრს ხელის მოწერლებს მოიპოვებენ და საქმეს გაიჩაღებენ. საზოგადოებაც მადლობელი იქნება, რადგანაც დიდებს ექნებათ რიგიანი კვირეული გამოცემა და ყმაწვილებს ყოველ-თვიური კარგი ჟურნალი.

ვგონებ, ეს რჩევა მეგობრულია და არ მოგაგონებთ იმ ბრმა და დაუცხრომელს მტრობას, რომლითაც ხსენებული რედაქცია მეპყრობა მე აგერ რამდენიმე წელიწადია.

იაკობ გოგებაშვილი

ნაკვესი

ერთსელ გოგასპარ მგელაძეს, გუ რეულს, ცნობილს ენა მახვილობით, უთხრა ერთმა ახსოვრმა:

— გოგასპარ, შენ რომ ასეა წყალსა ხარ და გბილები ბრიალსავითა გაქვს, მე რა დამეშავოს, რომ ყველა კბილი წამიხდაო?

— ბატონო, ჩემს კბილებს რა წაახდენსო, უპასუხა გოგასპარმა, არაფერზედ ვსმარობ, საკმელი არა მაქვს და ისმელი. შენ ამოგდენ სასმელ-საკმელი გაქვს, რომ ათას კეტის კბილი სჯერია და მარტო შენი რაფერ აუოაკდებოდაო!

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

(ამოკრებილი ამბები)

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც გრაფი კასნიკი მეტად უსიამოვნო ამბავს შეემთხვა: ერთს ახალგაზდა ქალს ასაფლავებდენენ, კუბი რომ ჩასდეს სამარეში და მიწა უნდა მიეყარათ, ქალს გამოეღვიძა. თურმე საღათას ძილით სძინებია და ნათესავებს ჰგონებიათ, მკვდარი არისო. გრაფი კასნიკი ისე აღელვდა და აეშფოთა ამ ამბავმა, რომ მეს შემდეგ სულ იმის ფიქრში იყო, ისეთი რომ მოეგონებინა, რომ ცოცხალი კაცი არ დაიმარხოს. ხშირად ასი და ათასი მანათი იხარჯავება სანთლებზე, გვირგვინებზედ და სხვ. ნუთუ ძველი არის ცოტაოდენი ფული გადაიღოს იმისთვის, რომ ცოცხალი კაცი არ დაასაფლავონ და ამ გვარად სიცოცხლეს არ გამოსალმონ. თუ ამ გზით ერთი დასაფლავებული კაცი მაინც გადარჩა სიკვდილს, ისიც დიდი სიკეთე იქნება. ზემოხსენებულმა გრაფმა კასნიკმა დიდის ფიქრისა და მეცადინეობის შემდეგ მართლა მოიგონა მანქანა. ახლად დასაფლავებულის სამარეში უნდა ჩაირგოს სარი. ერთს წვერზედ სარს გაკეთებული აქვს შუშის პატარა ბურთი, რომელის დასაფლავებულის მკერდზეა დაყრდამილი. თუ ვინიცობაა დასაფლავებულმა კაცმა გაიღვიძა, ოდნავ მკერდის აწევა საკმარისია, რომ სარის მეორე წვერზედ გაკეთებულმა მანქანამ თავის თავად ამართოს ბარიალი. ამავე დროს ელექტრონის ზარი დაუკრავს, აიშვება შუშხუნა და აინთება ელექტრონის ლამპარი, მაშასადამე, დამეც რომ გამოეღვიძოს სამარეში ცოცხლად დასაფლავებულ კაცს, სასაფლაოს დარაჯი იმავე წამს შეიტყობს ამას. ეს მანქანა უნდა გაიმართოს ყველას საფლავზეო და უნდა იყოს იქ ორს კვირას, რადგანაც დამტკიცებულია, რომ სადღაცას ძილი ამ დროზედ მეტს ხანს არ გასტანს. ამ მანქანის ერთი ღირსებაც ის არის, რომ ძლიერ იაფია, სულ 40 ფრანკი ღირს. პარიზში დღეში 200 კაცამდე კვდება და ამიტომ თითოეულ საფლავზედ ამ მანქანის გამართვა დაჯდება სულ 120,000 ფრანკი. ეს ფული არც ისე დიდია. პარიკს უფრო მეტი ფული დაუხარჯავს ხოლმე სულ უბრალო საქმისათვის.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

2 მაისი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 30 აპრილს მოსკოვ ყაზანის რკინის გზის ბენზოს შტოზე ისეთმა ზვიმამ გადაიარა, რომელის მსგავსი ჯერ არ ყოფილა. ნიადგარმა ლიანდაგი გაბაფუჭა 16 ვერსის მანძილზე. სახალხო—საქონლის მატარებელი, ნიანდაგიდგან გადავარდა ორთქლ-მავალით და სამის ვაგონით. ქანდარმი და მესამე კლასის 1 მოგზაური დაშავდნენ.

ᲕᲘᲔᲜᲐ. დეპუტატთა პალატა. აპონის შეკითხვაზედ ბანე